KONRAD ADENAUER STIFTUNG

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მოსაწვევი

KAS & EPRC ეკონომიკური არენა

27 ნოემბერი, 2019

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წელს, კონრად ადენაუერის ფონდმა (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) დააფუძნეს ეკონომიკური დისკუსიების პლატფორმა - ,,**KAS EPRC ეკონომიკური არენა.“** პლატფორმა არის გრძელვადიანი ინიციატივა, რომლის მიზანია მოხდეს ეკონომიკურ და სოციალურ თემებზე, კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის ინიცირება.

რიგით მესამე სადისკუსიო თემა, პლატფორმის ფარგლებში, ეძღვნება ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმის ახალ ტალღას. დისკუსია სახელწოდებით: *„ჯანდაცვის რეფორმა - ახალი ინიციატივა: სწორი თუ მცდარი ნაბიჯები?* გაიმართება *2019 წლის 17 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი რუმსი" (Event Room), 11 საათზე.*

ჩვენ მოხარული ვიქნებით თუ შეძლებთ მონაწილეობა მიიღოთ დისკუსიაში როგორც მომხსენებელმა. თქვენი მონაწილეობა აღნიშნულ შეხვედრაში ძალიან ღირებულია. ამდენად, იმედს ვიტოვებთ, რომ გამონახავთ დროს.

პატივისცემით,

ტომას შრაპელ
კონრად ადენაუერის ფონდის
დირექტორი საქართველოში

ნინო ევგენიძე
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის
ცენტრის დირექტორი

ინფორმაცია პლატფორმის შესახებ

KAS EPRC ეკონომიკური არენა *შესაძლებლობას მისცემს საკითხზე მომუშავე მხარეებს წარმოადგინონ არგუმენტირებული პოზიციები ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ თემებზე და მოხდეს მათი განხილვა ექსპერტული, საქმიანი პოზიციებიდან.*

პლატფორმა შესთავაზებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას ანალიტიკურ დოკუმენტებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ გაიაზრონ ინიცირებული და, ზოგ შემთხვევაში უკვე მიღებული, გადაწყვეტილებების შედეგები და ეფექტი.

არსებული სიტუაციის განსხვავებული პერსპექტივებიდან ხედვის შესაძლებლობა და ევროპისა და სხვა ქვეყნების მიერ ტრანზაქციულ პერიოდებში დაგროვებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბებაში.

საქართველოში, როგორც გარდამავალი ეკონომიკისა და რეფორმების პროცესში მყოფ ქვეყანაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიიღებოდეს წინასწარი კვლევის, საზოგადოებრივი განხილვისა და კონსენსუსის საფუძველზე; ამასთან, აუცილებელია, რომ ამ პროცესში განხილვა ხდებოდეს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ პროფესიონალური პოზიციებიდან, ეკონომიკურ მონაცემებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

სწორედ ამიტომ, ***KAS EPRC ეკონომიკური არენა*** *პერმანენტულად მოახდენს ახალი სადისკუსიო თემატიკის ინიცირებას და გრძელვადიან პერსპექტივაში დაამკვიდრებს შინაარსობრივი პროფესიონალური დისკუსიის ახალ სტანდარტს.*

პლატფორმის ფარგლებში, პირველი დისკუსია საპენსიო რეფორმას, ხოლო მეორე საბანკო რეგულაციებს მიეძღვნა. პოლიტიკის დოკუმენტები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გმულებზე:
http://eprc.ge/uploads_script/publication/Pension%20Reform_GEO.pdf